



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 105

29/12/2017

**ფიჭური სატელეფონო კომუნიკაციის თანხის ხარჯვის
ლიმიტის დამტკიცების შესახებ**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა სამსახურეობრივი მოვალეობების ეფექტური განხორციელებისათვის და შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო კომუნიკაციის თანხის ხარჯვის ლიმიტების დაწესების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. დამტკიცდეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა ფიჭური სატელეფონო კომუნიკაციისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხის ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება სახელმძღვანელოდ გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო